11/06/2024

MES 7 24 0000651923

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 28.05.2024
სხდომის დაწყების დრო: 14:10 სთ
სხდომის დასრულების დრო: 16:47 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: თამარ ლომინაძე
სხდომის მდივანი: ციური დურული

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **თამარ ლომინაძე -** სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
2. **გიორგი ღაღანიძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი; **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე**;
3. **აკაკი ხელაძე** – სსიპ – ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი;
4. **ციური დურული -** სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი; **საბჭოს მდივანი**
5. **თამარ ტუფინაშვილი** – შპს ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის აკადემიური განვითარების მიმართულების ხელმძღვანელი;
6. **ქეთევან ქუთათელაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
7. **დიმიტრი ჯაფარიძე** – სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი;
8. **ვასილ კიკუტაძე** - შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ბიზნესის და ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი;
9. **დიანა მჭედლიშვილი** –შპს კავკასიის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
10. **ნინო ჭალაგანიძე -** შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ასოცირებული პროფესორი;

11. **ქეთევან ნანობაშვილი** – შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
12. **გიორგი მირიანაშვილი** – შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტისრექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
13. **მაგდა ბოლოთაშვილი** – სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის გენერალური დირექტორის მოადგილე, დამსაქმებელი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები(სახელი, გვარი, პოზიცია)

1. **ლალი ოდიშვილი,** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
2. **გვანცა ძიძიგური,** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები (დაწესებულება, სახელი, გვარი, პოზიცია)

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

ბადრი რამიშვილი - ასოცირებული პროფესორი - მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
კონსტანტინე პატიაშვილი - მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
მანანა ლობჟანიძე - ასოცირებული პროფესორი - ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე;
მარინა ჩავლეიშვილი - ასოცირებული პროფესორი - ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ია ნაცვლიშვილი - ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ქეთევან ჩიტალაძე - ასისტენტ პროფესორი - ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ნინო ქიმერიძე - ასოცირებული პროფესორი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აკრედიტაციის კვლევებისა და შეფასების განყოფილების უფროსი;
შოთა ფოთოლაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი:
მაკა ბერიძე - რექტორი;
ნინო მილაშვილი- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
მერაბ ბერიძე - ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო და ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი;
გულიკო ბექაური - განათლების, ჰუმანიტარული და სოაცილაური მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;
მაია ქუქჩიშვილი - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი:
ვლადიმერ ღლონტი - პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

გაიოზ ფარცხალაძე - პროფესორი, ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი;
გოჩა ჩავლეშვილი - პროფესორი, ტექნოლოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, პროგრამის ხელმძღვანელი ;
მარიამ ღომიძე - ასისტენტ პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი.

შპს საქართველოს უნივერსიტეტი:
არჩილ ჯანგირაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
თინათინ ღუდუშაური - ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დირექტორი;
მაია ჩხეიძე- პროგრამის ხელმძღვანელი.

სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია:

თამარ ხუნდაძე - ასოცირებული პროფესორი, დეკანი;
თამარ ლილუაშვილი - ასოცირებული პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი
ნინო ღაღანიძე - პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

აკრედიტაციის ექსპერტები:
ირინა ლობჟანიძე- I, VII საკითხი
ნინო პოპიაშვილი- II საკითხი
ნინო სილაგაძე- III საკითხი
გიორგი წანაწყენიშვილი- IV საკითხი
თამარ გვიანიშვილი- IV საკითხი
ნინო ჯოჯუა- V საკითხი
ნინო დოლიძე- VI საკითხი

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომა გახსნა და უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ - თამარ ლომინაძემ მე-4 საკითხის განხილვისას სხდომას თავმჯდომარეობდა გოჩა თუთბერიძე. ამავე მუხლის საფუძველზე, სხდომის თავმჯდომარის დავალებით, სხდომის მდივნის ფუნქციების შესრულება დაევალა საბჭოს წევრს, ციური დურულს.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:10 საათზე.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,რუსული ენა და ლიტერატურის'' სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

2. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ქართველური ენათმეცნიერების'' სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

3. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ქართული ფილოლოგიის'' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

4. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ქართული ლიტერატურის ისტორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

5. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ,,ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაციის'' სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

6. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,არქიტექტურის'' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის პირობების შესრულების არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

7. შპს საქართველოს უნივერსიტეტის ,,ინგლისური ფილოლოგიის'' ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

8. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა საჯარო მმართველობაში" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

9. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ქართველური ენათმეცნიერების'' სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

10. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ფილოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

1. **პირველი საკითხი:** სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,რუსული ენა და ლიტერატურის'' სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ,,რუსული ენა და ლიტერატურა" საფეხური - მაგისტრატურა
სწავლების ენა - ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი რუსულ ფილოლოგიაში

დეტალური სფეროს კოდი - 0231 ენის დაუფლება

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ განსახილველი საქმის ირგვლივ წარმოდგენილ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტი ირინა ლობჟანიძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებსა და ინსტიტუციას და გამოხატა პატივისცემა მათ მიმართ. აღნიშნა, რომ დაწესებულების მიმართ გაცემული რეკომენდაციების უმეტესი ნაწილი შესრულებული იყო ასევე, გათვალისწინებულ იყო რჩევების უმრავლესობა. აქვე ყურადღება გაამახვილა, იმ რეკომენდაციებზე, რომელსაც მიიჩნევდა, რომ დაწესებულების მხრიდან ნაწილობრივ იყო შესრულებული. კერძოდ, რეკომენდაცია 1.3. -თან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა ,,პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმს'' აღნიშნა, რომ თვითშეფასების წარმოდგენისას, ნათლად უნდა გაწერილიყო სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის მეთოდოლოგია, რადგან, აღნიშნა, რომ საბჭოს დასკვნასა და აკრედიტაციის პროცესში, მითითებული გარემოება იყო ერთ-ერთი პრობლემური, გამომდინარე იქედან, რომ მეთოდოლოგიის ნაწილში წარმოდგენილ ინფორმაციას აკლდა შესაბამისი მითითება ნიშნულების შესახებ, კურიკულუმის რუკის შესახებ, და ა.შ. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ნათელია დაწესებულების მხრიდან. შემუშავდა დოკუმენტი სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის მეთოდოლოგია, თუმცა ამ ეტაპზე არ მომხდარა მეთოდოლოგიაში ჩამოთვლილი ეტაპების საბოლოო განხორციელება. ასევე, არ მომხდარა გარკვეული დოკუმენეტების სრულად განახლება. ასევე, მან აღნიშნა, რომ არ იყო წარმოდგენილი თვითშეფასებაში ნახსენები, აკადემიური მოსწრების ანალიზის დოკუმენტი, რომლის შემუშავება და გაანალიზება როგორც წესი, წელიწადში 1-2 ჯერ უნდა ხდებოდეს. ასევე, მიუთითა, რომ დოკუმენტიდან რომელიც იყო წარმოდგენილი, ნათლად არ დგინდებოდა ცხრილთან მიმართებით ინფორმაცია, თუ რომელ პროგრამას ეხებოდა იგი, აღნიშნულ პროგრამას თუ სხვას. ყოველივე ზემოათაღნიშნულის შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევდა რომ განსახილველი რეკომენდაცია ნაწილობრივ იყო შესრულებული დაწესებულების მხრიდან, თუმცა საკმაოდ შრომატევადი ნაბიჯები იყო გადადგმული მათი სრულად შესრულებისათვის. რაც შეეხება 2.4. სტანდარტს ,,სტუდენტის შეფასება'', აღნიშნა, ექსპერტმა ირინა ლობჟანიძემ, რომ რეკომენადაცია შესრულებულია ნაწილობრივ, რადგან ექსპერტთა დასკვნაში, ასევე საბჭოს სხდომაზე მსჯელობის დროს, განსახილველ საგანას წარმოადგენდა, შეფასების კომპონენტების უნიფიცირებულობა. მიუთითა, რომ აქტივობა იყო 30 ქულიანი, შუალედური გამოცდა- 30 ქულიანი, ხოლო დასკვნითი გამოცდა იყო 40 ქულიანი, შესაბამისად, ექსპერტმა აღნიშნა, რომ ასეთი უნიფიცირებული შეფასება არ ავლენდა კონკრეტული კურსების თავისებურებას. მართალია სილაბუსებში მართლაც მოხდა აქტივობების კომპონენტების გადახედვა შიდა ჩაშლის გზით და 5 კურსის აქტივობის კომპონენტი განახლდა, თუმცა კვლავაც რჩებოდა 30 ქულიანი პროცენტის ფარგლებში. ექსპერტი აღნიშნავს, რომ დაწესებულების სურვილისა და ამ კუთხით განხორციელებული აქტივობების მიუხედავად, შესაბამისი რეკომენდაციის შესრულების მიზნით, შეფასების სქემა მაინც რჩებოდა უნიფიცრებული, რაც ვერ ასახავდა კურსების შინაარს, სპეციფიკასა და

კომპლექსურობას. ასევე აღნიშნა, რომ ყველაფერი გარდა ზემოხსენებულისა, იყო შესრულებული და აკმაყოფილებდა სტანდარტს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ინსტიტუციის წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები ექსპერტთა დასკვნის მიმართ.

დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებსა და ექსპერტებს და პირველ რეკომენდაციასთან მიმართებით, რომელიც ეხებოდა სამიზნე ნიშნულებს აღნიშნა, რომ აკრედიტაციის პროცესის შემდგომ დაწესებულების, პროგრამის ხელმძღვანელმა ხარისხის სამსახურთან ერთობლივი მუშაობის შემდეგომ, გადაწერეს სამიზნე ნიშნულების შეფასების პოლიტიკა და წესი. რაც, შეეხება გაცემული რეკომენდაციის ნაწილობრივ შესრულებას, აღნიშნა მან, რომ იგი გამოწვეული იყო იმით რომ, პროგრამა შეეხებოდა სამაგისტრო საფეხურს, ხოლო აღნიშნული პროგრამა შედეგზე გადის მესამე და მეოთხე სასწავლო კურსის შემდეგ, და რადან ამ ეტაპზე დასრულებული არ იყო მეორე სემესტრი შესაბამისად არ იყო შედეგებიც. მოცემულობიდან გამომდინარე, აღნიშნულის ანალიზის წარმოდგენა ტექნიკურად შეუძლებელი იქნებოდა. შესაბამისად, ინსტუტციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა რომ, ექსპერტმა გაცემული რეკომენდაცია, ამ ნაწილში, ნაწილობრივ შესრულებულად შეაფასა. რაც შეეხება, ექსპერტის მიერ დასახელებულ მეორე საკითხს, რომელიც ექსპერტის შეფასებით არის ნაწილობრივ შესრულებული, დაწესებულების წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ ამ მიმართულებითაც პროგრამის ხელმძღავანელის მხრიდან ხარისხის სამსახურთან, ერთად საკმაოდ მრავალმხრივი და მნიშვნელოვანი სამუშოები იქნა შესრულებული ცალკეულ სასწავლო კურსებთან მიმართებით. განსაკუთრებით აქტივობის კომპონენტთან დაკავშირებით. ცვლილება შეტანილი კურსის სპეციფიკის მიხედვით, რომელთა შეფასებით შემდგომ მოხდებოდა ქულაზე გასვლა, როგორც წესი 30 ქულიანი აქტივობის კოპონენტი რამოდენიმე ჩართულობით იქნა დანაწილებული, მაგ: დისკუსია, ესე, მხატვრული ტექსტის ანალიზი და ა.შ. რაც იძლეოდა მაქსიმალურად დივერსიფიცირებულად შეფასების შესაძლებლობას. მაგრამ, რაც შეეხება შეფასების სისტემის სამ ნაწილად წარმოდგენას, იგი იყო საუნივერსიტეტო რეგულაცია, განსაზღვრული იყო თავად უნივერსიტეტის მიერ მიღებული ნორმატიული დოკუმენტებით და შესაბამისად, ამ ეტაპზე, პროგრამის ხელმძღვანელი მოკლებული იყო შესაძლებლობას სხვაგვარი შეფასების სქემის დანაერგვისა ან არსებული შეეცვალისა. აღნიშნა, რომ, ისინი შეეცადნენ აქტივობის შიგნით შეძლებისდაგვარად მომხდარიყო ექსპერტების რეკომენდაციების გათვალისწინება. თუმცა, აქვე აღნიშნა რომ უნიფიცირებულ შეფასების მეთოდთან დაკავშირებით თავად დაწესებულებაც მუშაობს, თუმცა ამ საანგარიშო პერიოდში ამ კუთხით, რაიმე ცვლილებები ვერ განხორციელდება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ, არსებობის შემთხვევაში, კითხვები და მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ქუთათელაძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი მასალების შესაბამისად, ნათელი იყო, რომ ინსტიტუციას შემუშავებული ჰქონდა სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის მეთოდოლოგია, თუმცა წარმოდგენილ მასალებში არ მოიძებნებოდა პროგრამისათვის სამიზნე ნიშნულების შეფასების დოკუმენტი სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის მეთოდოლოგიის შესაბამისად. გამომდინარე აქედან, მას აინტერესებდა, აღნიშნული დოკუმენტი იყო თუ არა წარმოდგენილი საქმის განხილვის მასალებში, რადგან მან ვერ აღმოაჩინა მსგავსი დოკუმენტი განსახილველ საქმეში. ინსტიტუციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამის სამიზნე ნიშნულების შეფასების დოკუმენტი გაკეთებული ჰქონდათ, თუმცა აღნიშნულ დოკუმენტებში რატომ არ იძებნება იგი, მისთვის გაურკვეველი იყო, გამოთქვა ვარაუდი, რომ შესაძლებელი იყო ანგარიშის

წარმოდგენის ფარგლებში არ იქნა წარმოდგენილი, თუმცა, აკრედიტაციის ეტაპზე აღნიშნული დოკუმენტი მათ ჰქონდათ წარდგენილი.
საბჭოს წევრ ვასილ კიკუტაძეს დამაზუსტებელი კითხვა ჰქონდა ექსპერტსა და დაწესებულების მიმართ. ერთი მიემართებოდა ექსპერტს და შეეხებოდა მის მიერ გაცემულ, ერთ-ერთ რეკომენდაციას, კერძოდ მან აღნიშნა, რომ ერთ-ერთი რეკომენდაციის მიხედვით, ,,სამაგისტრო ნაშრომის სწავლის შეფასების გამოყენების მიზნით რეკომენდებულია გათვალისწინებულ იყოს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის მთლიანი ციკლი და არა მხოლოდ სამაგისტრო ნაშრომის დაცვა'' რომელიც ექსპერტის მითითებით იყო შესრულებული. მას აინტერესებდა, კონკრეტულად რა იგულისხმებოდა, სწავლის შედეგებთან მიმართებით, სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის მთლიანი ციკლის ნაწილში და როგორ დადგინდა მისი შესრულება. ასევე, საბჭოს წევრის მეორე კითხვა მიემართებოდა დაწესებულებას, ექსპერტის მიერ გაცემულ ერთ-ერთ რჩევასთან მიმართებით, კერძოდ ,,უნდა მომზადდეს ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებლის საუნივერსიტეტო პროცედურები, კლასტერული აკრედიტაციის შესაბამისად'' საბჭოს წევრი ითხოვდა განმარტებას რა პროცედურების მომზადებაზე იყო საუბარი და ამ ეტაპზე, ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტების მომზადება, რამდენად იყო რეალური.
საბჭოს წევრის კითხვაზე ექსპერტმა ირინა ლობჟანიძემ აღნიშნა, რომ 1.3. ქვესტანდარტი ეხებოდა პროგრამის სწავლის შეფასების მექანიზმებს, ხოლო კონკრეტულად, გაცემული რეკომენდაცია კი სამაგისტრო ნაშრომს, მისი სწავლის შეფასებას და ა.შ. აღნიშნა ექსპერტმა, რომ პრობლემა მდგომარეობდა შემდეგში, რომ დოკუმენტაციას არ ახლდა სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესი. თუმცა, წარმოდგენილი იყო სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი, რომელიც ექსპერტის თქმით, დეტალურად იქნა შესწავლილი. სილაბუსის მიხედვით შეფასების კომპონენტი და სამაგისტრო ნაშრომის წარდგენისა და დაცვის წესი, ასე თუ ისე მასში იყო გაწერილი, რა მექანიზმები არსებობდა როგორ უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი ნაშრომი თავისი ტექნიკური და შინაარსობრივი მხარით, ასევე სილაბუსიდან ჩანდა ლიტერატურის აღწერა და ნუსხა როგორ უნდა იყოს წარმოდგენილი, წინასწარ გაწერილი იყო სტრუქტურა ნაშრომისა, ყოველივე ამის გათვალისწინებით, ექსპერტმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი სილაბუსი აკმაყოფილებდა დადგენილ მოთხოვნას, სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებით საბჭოს მოთხოვნას. საგულისხმოა, რომ მართალია ვერ შედარდა, ,,წესთან'' თუმცა, ის ძირითადი მოთხოვნა და მახასიათებლები რომელიც უნდა ქონდეს სამაგისტრო ნაშრომს, ყველა გაწერილი იყო.
რაც შეეხება საბჭოს წევრის მეორე კითხვას, ხარისხის დოკუმენტების შემუშავებასთან დაკავშირებით, ინსტიტუციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის დოკუმენტებში რომელიც თავდაპირველი განხილვისას იქნა წარმოდგენილი, მოიპოვებოდა ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტები, თუმცა რადგან განსახილველ ანგარიშში ამ რჩევასთან დაკავშირებით საუბარი არ იყო, ამიტომაც არ იქნა გამოგზავნილი ხელახლა. თუმცა აღნიშნა, რომ პროგრამის აკრედიტაციის პროცესში შემუშავებული იყო ხარისხის მარეგულირებელი ყველა დოკუმენტი და წარმოდგენილიც იყო აკრედიტაციის პროცესში. რაც შეეხება, ექსპერტთა შენიშვნას, აღნიშნა რომ ეს საკითხი გამოწვეული იყო სწორედ იმით რამაც შემდეგ 1.3. კომპონენტის რეკომენდაციის გაცემა გამოიწვია. კერძოდ, ექსპერტებისათვის კარგად არ ჩანდა, სამიზნე ნიშნულების შემუშავებისა და გაწერის მექანიზმები. შესაბამისად, ეს რჩევა იყო გათვალისიწინებული სწორედ აღნიშნული რეკომენდაციის შესრულების ეტაპზე.
ექსპერტმა ირინა ლობჟანიძემ დაამატა, რომ სამაგისტრო ნაშრომის შეფასების მექანიზმში კარგად ჩანდა ნაშრომზე მუშაობის პროცესი, რაც რეალურად შეესაბამებოდა გაწეული რეკომენდაციის შინაარსს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:30
დასრულების დრო: 14:33

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,რუსული ენა და ლიტერატურის'' სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი- 0
გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2^{11}პუნქტის საფუძველზე, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,რუსული ენა და ლიტერატურის'' სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილიანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.
საბჭოს წევრმა დიანა მჭედლიშვილმა დააყენა საბჭოს წინაშე დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი სამი საკითხი, კერძოდ,

1. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ქართველური ენათმეცნიერების'' სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
2. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ქართული ფილოლოგიის'' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ქართული ლიტერატურის ისტორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

ერთიანობაში განეხილა საბჭოს, რადგან კლასტერული აკრედიტაციის პროცესში ერთად იყო განხილული.
აღნიშნულიდან გამომდინარე, საბჭოს თავჯდომარემ მიმართა ინსტიტუციასა და ექსპერტს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ სამივე საკითხი ერთად ყოფილიყო განხილული საბჭოს სხდომაზე.
დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ თანახმა იყვნენ ერთად მომხდარიყო აღნიშნულის საკითხების განხილვა,

მეორე საკითხი: სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამი პროგრამისთვის: 1. ,,ქართველური ენათმეცნიერების'' სამაგისტრო საგანმანთლებლო პროგრამა 2. ,,ქართული ფილოლოგიის'' საბაკალავრო საგანმანათლელო პროგრამა 3. ,,ქართული ლიტერატურის ისტორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშების განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ,,ქართველური ენათმეცნიერება"
საფეხური - მაგისტრატურა
სწავლების ენა - ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ქართველური ენათმეცნიერების მაგისტრი
დეტალური სფეროს კოდი - 0232 ლიტერატურა დალინგვისტიკა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - „ქართული ფილოლოგია"
საფეხური - ბაკალავრიატი
სწავლების ენა - ქართული

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ქართულ ფილოლოგიაში
დეტალური სფეროს კოდი - 0232 ლიტერატურა დალინგვისტიკა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ,,ქართული ლიტერატურის ისტორია“
საფეხური - მაგისტრატურა
სწავლების ენა - ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ქართული ლიტერატურის ისტორიის მაგისტრი
დეტალური სფეროს კოდი - 0232 ლიტერატურა დალინგვისტიკა

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ განსახილველი საკითხის ირგვლივ წარმოდგენილ დოკუმენტაცის. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა სამივე საკითხის ირგვლივ წარმოდგენილ აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნებს. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნებს.
მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა აკრედიტაციისექსპერტთა თავმჯდომარესწარმოედგინა პოზიც ია განსახილველი სამივე საკითხის ირგვლივ თანმიმდევრულად.
ექსპერტი ნინო პოპიაშვილი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და დაწესებულების წარმომადგენლებს და განაცხადა, რომ საბჭოზე განსახილველი იყო სამი პროგრამა, კერძოდ, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამი პროგრამა 1. ,,ქართველური ენათმეცნიერების'' სამაგისტრო საგანმანთლებლო პროგრამა 2. ,,ქართული ფილოლოგიის'' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა 3. ,,ქართული ლიტერატურის ისტორიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და მათთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშების განხილვა; ექსპერტმა დაწესებულების ,,ქართველური ენათმეცნიერების'' სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ გამოთქმული იყო 13 რეკომენდაცია და 19 რჩევა, აღნიშნულმა პროგრამებმა გაიარეს კლასტერული აკრედიტაცია, რეკომენდაციების ნაწილი იყო კლასტერული, თუმცა ნაწილი ეხებოდა უშუალოდ აღნიშნულ პროგრამას, აქვე დასძინა, რომ რადგან რადგან პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა „ქართული ფილოლოგიისთვის“ შემუშავებული დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების პირობებში, ეს გარკვეულ წილად გამოწვევა იყო დაწესებულებებისათვის და ასევე სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის, თუ როგორ ასახავდნენ პროგრამაში, ქართველური ენათმეცნიერების გარკვეულ საკითხებს. ასევე აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი შეეცადა სრულად გაეთვალისწინებინა ყველა რეკომენდაცია და რჩევა. ასევე ხაზი გაუსვა, იმ მოცემულობას რომ რეკომენდაციების ნაწილი ითვალისწინებდა გრძელვადიან პერსპექტივას, კერძოდ, რეკომენდაცია ეხებოდა, საერთაშორისო სამეცნიერო და მაღალრეიტინგულ ბაზებში პერსონალის მიერ ნაშრომების გამოქვეყნებას, ასევე, საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების გამოყენებას, როგორც აკადემიური ასევე მოწვეული ლექტორების მიერ და ა.შ. ექსპერტმა, ნინო პოპიაშვილმა აღნიშნა, რომ დასაფასებელია უნივერსიტეტის მზაობა გაცემული

რეკომენდაციების შესრულებისათვის, ასევე მნიშვნელოვანია ინსტიტუციამ გააგრძელოს ამ კუთხით მუშაობა.
ექსპერტმა, ნინო პოპიაშვილმა ,,ქართული ლიტერატურის ისტორიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ გამოთქმული იყო 14 რეკომენდაცია და 19 რჩევა. ხაზი გაუსვა იმას, რომ რეკომენდაციების ერთი ნაწილი უშუალოდ ეხებოდა პროგრამის შედგენას დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით. შესაბამისობას, ქართული ლიტერატურისა და მსოფლიო ლიტერატურის ურთიერთმიმართებების, ფოლკლორის, მითოლოგიის, საკითხების ურთიერთგადაფარვას, რადგან აქ არის ასევე, საბაკალავრო პროგრამაც მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, შემდეგ ეს საბაკალავრო იყოფა ენათმეცნიერებისა და ლიტერატურის მიმართულებების მიხედვით სამაგისტრო პროგრამაზე და შესაბამისად, რომ არ მომხდარიყო საკითხების ურთიერთგადაფარვა, საგნებისა და თემების საფეხურების თვალსაზრისით. ასევე აღნიშნა, რომ რეკომენდაციები დაწესებულების მხრიდან შესრულებული იყო. ასევე ხაზი გაუსვა იმას, რომ რჩევების შესრულების ნაწილშიც დაწესებულება გამოთქვამდა მზაობას. თუმცა ექსპერტმა, აქვე დასძინა, რომ რჩევებისა და რეკომენდაციების ერთი ნაწილი, ეხება უშუალოდ სამომავლო პესპექტივას, მაღალრეიტინგულ რეფერირებად ბაზებში ნაშრომების გამოქვეყნებას, ასევე სამაგისტრო ნაშრომების სრულყოფას, რაც სამომავლო პერსპექტივაშიც ძალიან მნიშვნელოვანი იყო.
რაც შეეხება, ,,ქართული ფილოლოგიის'' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას, მასთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ გამოთქმული იყო 12 რეკომენდაცია და 17 რჩევა, აქვე ხაზი გაუსვა დარგობრივ მახასიათებელს, რადგან სამოქმედო არეალი არის განსაზღვრული როგორც საბაკალავრო ასევე სამაგისტრო საფეხურზე, მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ გადაწყვეტდა უნივერსიტეტი დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობას. ექსპერტმა აღნიშნა, რომ საბაკალავრო პროგრამა არის უფრო მოცულობით, ფართო და მასში უფრო მეტად უნდა აისახოს დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნები, ამიტომაც რეკომენდაციების ნაწილი ეხებოდა ცალკეული სილაბუსების ცალკეული სასწავლო კურსების დონეზე მათ შორის, სავალდებულო და არჩევითი ლიტერატურის მითითებას და მითითების წესს და სხვა ასეთ საკითხებს. რაც უნივერსიტეტის მხრიდან იყო შესრულებული, ასევე ხაზი გაუსვა, რომ მნიშვნელოვანია უნივერსიტეტმა თავისი მზაობა, რომელიც გამოხატა სამომავლო რეკომენდაციების შესრულებისა და ამ მიმართულებით პერსონალი სამეცნიერო მუშაობის გაუმჯობესების თვალსაზრისით, გააგრძელოს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი, პროგრამის ხელმძღვანელი, მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს, მადლობა გადაუხადა ექსპეტებს შესრულებული სამუშაოსათვის და აღნიშნა, რომ როგორც რეკომენდაციები, ასევე რჩევები დაწესებულებამ მიიჩნია სავალდებულო შესასრულებლად და დაიწყო ამ კუთხით მუშაობა. რეკომენდაციები იყოფოდა პირობითად რამდენიმე სახედ. კერძოდ, რეკომენდაციები რომლებიც კლასტერს ეხებოდა, რეკომენდაციები რომელიც უშუალოდ პროგრამას ეხებოდა და გრძელვადიან პერსპექტივაში შესასრულებელი რეკომენდაციები. მან აღნიშნა, რომ ყველა რეკომენდაცია რომელი პროგრამის შინაარსს, სილაბუსებს, პროგრამების გადაფარვას, ასევე ვრცელ ლიტერატურას ეხებოდა, იქნა გათვალისწინებული. აღნიშნა, რომ ლიტერატურა დაიყვანეს ძირითადად მონოგრაფიებზე, სილაბუსის ყველა თემა იქნა დაფარული. რეკომენდაციების შესრულების ფარგლებში შესაბამისობაში იქნა მოყვანილი ყველა განსახილველი პროგრამა, შესაბამის დარგობრივ მახასიათებელთან, როგორც ტერმინოლოგიურად ისე შინაარსობრივად. მკაფიოდ ჩაიწერა ქართველურ ენებთან მიმართებით პროგრამების დამოკიდებულება, ასევე დიალექტებთან მიმართებით. ასევე, ცალსახად მოხდა პროგრამების ერთმანეთისაგან გამიჯვნა და ყველა გადაფარვა იქნა აღმოფხვრილი.

რაც შეეხება, კლასტერულ რეკომენადაციებს, ისინი სტუდენტსა და პერსონალის ხელშეწყობას გულისხმობდა, რაც პირდაპირ კავშირში იყო ინტერნაციონალიზაციასთან. ასევე აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში ინსტიტუციამ გახსნა რამდენიმე დამატებითი ბაზა, დარგობრივი - ქართული ფილოლოგიის მიმართულებით, მაგ: ოქსფორდის მეცნიერული ბაზა და ამავე დროს უსდ-მ, შეისყიდა შესაძლებლობა ,,რემოტედთან'' დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომ დაწესებულების პროფესორებსა და სტუდენტებს მსოფლიოს ნებუისმიერი წერტილიდან ჰქონდეთ წვდომა დაწესებულების ბიბლიოთეკაში დაინსტალირებული პროგრამის, სამეცნიერო ბაზებზე. შესაბამისად, ბაზებზე წვდომა ინსიტუციის მხრიდან სრულად იყო უზრუნველყოფილი.
ასევე აღნიშნა, რომ ძალიან მნიშნელოვანი იყო, პროექტები და მათზე ყურადღების გამახვილება. საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტში დაიბეჭდა შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის პროექტის ფარგლებში მონოგრაფიები, ასევე დაიბეჭდა პერსონალის ორი მონოგრაფია, ასევე კლასტერის ფარგლებში, ფუნდამეტრ კვლევებში მომზადდა კიდევ ერთი სამეცნიერო პროექტი და გაიგზავნა, შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდში, რომელიც სწორედ ქართული ფილოლოგიის კლასტერის მიმართულებით უზრუნველყოფს პერსონალის სტუდენტთა - მაგისტრანტთა, დოქტორანტთა და ბაკალავრთა ჩართულობას დამხმარე პერსონალად. ასევე მომზადდა, ევროპის ფონდის დახმარებით პროექტი და გაიგზავნა სწორედ კლასტერის მიმართულებით, რომელიც სამშვიდობო პოლიტიკის ნაწილში ლინგვისტური და ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევების მნიშვნელობას ეხება და ამ მხრივ ინსტიტუციას ავითარებს, აღნიშნულ პროექტში ჩართულია პერსონალი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ასევე ჩატარდა ექვსი ტერნინგი, რომელიც ეხებოდა ბაზებზე წვდომას და გრძელდება ინდივიდუალური მუშაობა თითოეულ სტუდენტთან. ასევე აღნიშნა, რომ სამოქმედეო გეგმაში აქვს შეტანილი დაწესებულებას, ის რეკომენდაცია რომელიც მიღებულ იქნა კლასტერის ფარგლეში, მიიჩნევს რომ ინსტიტუციურ განვითარებას შეუწყობს ხელს. შესაბამისად სხვა პროგრამებთან მიმართებითაც გაითვალისწინეს აღნიშნული რეკომენდაციები. ასევე ხაზი გაუსვა, ყველა სხვა პროგამასთან მიმართებით პროგრამისა და დაწესებულების განვითარების მიზანშეწონილობაზე. დამატებით აღნიშნა, რომ ქართული ფილოლოგიის კლასტერი არის ის მიმართულება რომელიც უალტერნატივოდ არის დაწესებულებისათვის ფუნდამეტური, შესაბამისად დაწესებულების არსებობის პირობებში ძალისხმევა არ იქნება დაშურებული იმისათვის, რომ ქართული ფილოლოგიის პროგრამა იყოს მოწინავეთა რიგებში და კიდევ უფრო კვალიფიციური კადრები მომზადდნენ, განსაკუთრებით მაღალი იყოს ქართული ფილოლოგიის პროგრამის პერსონალის მონოგრაფიების ინტერნაციონალიზაციის ხარისხი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა თამარ ტუფინაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტს, მას აინტერესებდა რამდენად სწორად იყო ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის კვალიფიკაციის ინგლისურენოვანი თარგმანი. რადგან აღნიშნა რომ გაურკვეველი იყო ინგლისურენოვან თარგმანში მისანიჭებელი კვალიფიკაციად რატომ ფიქსირდებოდა ,,ფილოლოგიის მაგისტრი'' ასევე, დაწესებულებასაც მიაქცევინა ყურადღება ამ კუთხით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მხოლოდ ტექნიკური შეცდომა იყო აღნიშნული, რადგან ხაზი გაუსვა რომ იგი თავად აწერდა ხელს დიპლომებს და დაადასტურა რომ ამგვარ კვალიფიკაციას არ ანიჭებდა ფაკულტეტი. ასევე ექსპერტმაც დაადასტურა რომ ინგლისურენოვან თარგმანში ტექნიკური ხასიათის შეცდომა იყო დაფიქსირებული და მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრს რომ ამგვარი მითითება გააკეთა.

საბჭოს თავმჯდომარემ თამარ ლომინაძემ შეკითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, მას აინტერესებდა 4.5. ქვესტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაცია, რომელიც შეეხებოდა ბიუჯეტის ნაწილს და აღნიშნა, რომ ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში არ იძებნებოდა პროგრამის მდგრადობის

ხედვა და პროგრამის ფინანსური მდგრადობის განმახორციელებელი გეგმა. ასევე აღნიშნა, რომ დაახლოებით იგივე იყო ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით, შესაბამისად მისი კითხვა მდგომარეობდა შემდეგში რომ, დაწესებულებას რამდენად ჰქონდა პროგრამის ფინანსური მდგრადობის დოკუმენტაცია და ასეთი გეგმა.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ თითოეული პროგრამისთვის არსებობდა ცალკე ბიუჯეტი და აქვე დასძინა რომ აღნიშნული ჩანაწერი დასკვნაში, გულისხმობდა შემდეგს, რომ უნივერსიტეტს აქვს ერთიანი ბიუჯეტი, ხოლო ერთიან ბიუჯეტში ცალკე არ იძებნებოდა ქართული ფილოლოგიის კლასტერისთვის ცალკე გამოყოფილი თანხები, თუმცა აღნიშნა, რომ ფილოლოგიის კლასტერის აკადემიური პერსონალი უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალის 1/3 შეადგენდა. ასევე აღნიშნა, რომ ბიუჯეტში არსებობს 25000 ლარი, რომელიც მხოლოდ კონფერენციებისთვის არის გამოყოფილი, 100 000 ლარი რომელიც კვლევებისა და აკადემიური პერსონალის დახმარებისთვის არის გამოყოფილი და სხვადასხვა მუხლში აკადემიური მათ შორის მოწვეული პერსონალისთვის გამოყოფილი თანხაა. ასევე აღნიშნა, რომ ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო როგორც შემოსავლის ასევე ხარჯვის ნაწილი. თუმცა, ცალკე ბიუჯეტში ვერ იქნებოდა ასახული კონკრეტული პროგრამის ბიუჯეტი. ასევე აღნიშნა, რომ არც ცალკე ფაკულტეტს აქვს ბიუჯეტი, არამედ ეს არის კონსოლიდირებული ბიუჯეტის ნაწილში, რომელიც შედგენილია ჯერ პროგრამის, შემდეგ ფაკულტეტის ბიუჯეტების გათვალისწინებით, შესაბამისად მდგრადობა პროგრამისა გათვალისწინებულია. ასევე აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამა ორ სხვადასხვა მდებარეობაზე ფუნქციონირებს ეს არის ახალციხე და ახალქალაქის მუნიციპალიტეტი. ასევე დასძინა, რომ წარმოდგენილი პროგრამა იყო არა მარტო მდგრადი, არამედ იმდენად პრიორიტეტული, რომ ორ სხვადასხვა ადგილას ახორციელებდა უნივერსიტეტი ერთი და იმავე ხარისხით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:54
დასრულების დრო: 14:59
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ქართველური ენათმეცნიერების'' სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი;
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[6] - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2[11]პუნქტის საფუძველზე, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ქართველური ენათმეცნიერების'' სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილიანგარიში, საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ქართული ფილოლოგიის'' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი;
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^{6} - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2^{11}პუნქტის საფუძველზე, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ქართული ფილოლოგიის'' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილიანგარიში, საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ქართული ლიტერატურის ისტორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი;

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^{6} - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2^{11}პუნქტის საფუძველზე, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ქართული ლიტერატურის ისტორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილიანგარიში, საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

მეხუთე საკითხი:

სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ,,ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაციის'' სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ,,ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაცია"

საფეხური - მაგისტრატურა

სწავლების ენა - ქართული

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაციის მაგისტრი

დეტალური სფეროს კოდი - 0222 ისტორია და არქეოლოგია

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადა გიორგი ღაღანიძემ

აცილების საფუძველს წარმოადგენდა დაწეესებულებაში მისი ოჯახის წევრის ადმინისტრაციის შემადგენლობაში მუშაობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას განსახილველ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას და საქმის მასალებს.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა აკრედიტაციისექსპერტსწარმოედგინამისი პოზიცია.

ექსპერტმა ნინო სილაგაძემ განაცხადა, რომ წარმოდგენილ ანგარიშში იკითხებოდა, რომ სამხატვრო აკადემიაში შეიქმა კომპეტენტური პირებით დაკომპლექტებული კომისია, რომელმაც განიხილა ექსპერტების რეკომედაციები, და ასევე აღნიშნა, რომ გაცემული რეკომენდაციების დიდი ნაწილი შესრულებული იყო, ასევე შემუშავებული იყო გეგმა, უახლოეს მომავალში გარკვეული რეკომედაციების შესრულებისა, კონკრეტული გრაფიკის სახით. მან აღინიშნა, რომ კონკრეტული რეკომენდაციები ეხებოდა პროგრამის შინაარსობრივ

მხარეს, კერძოდ სილაბუსების ნაწილს, რადგან შეიმჩნეოდა გარკვეული დისბალანსი მასში, კერძოდ მომავალი რესტავრატორების სხვადასხვა ეპოქებისა და იმ პერიოდების მხატრული მიმართულებით. ზოგიერთ მათგანში შეინიშნებოდა სისუსტეები, გარკვეულ ეპოქებთან მიმართებით, რადგან ნაკლებად იყო წარმოდგენილი გარკვეული ეპოქები, რომელიც შეიძლება გამხდარიყო მიმავალი რესტავრატორებისათვის მნიშვნელოვანი, მაგალითად, ისლამური ხელოვნება და მისი ნიმუშები. თუმცა, აქვე აღნიშნა, რომ ამგარი ხარვეზები იყო გამოსწორებული და წარმოდგენილი იყო ამის დამადასტურებელი მასალებიც. ასევე აღნიშნა, რომ გარკვეული შენიშვნები იყო ლიტერატურის განახლებასთან მიმართებაში, თუმცა გამომდინარე იქედან, რომ იგი არის მუდმივმოქმედი პროცესი და საჭიროებს პერიოდულ განახლებებს, აღნიშნულ საკითხთან მიმართებით მას დამატებითი შენიშვნები არ აქვს და რეკომენდაცია ამ კუთხითაც ჩაითვალა შესრულებულად. ექსპერტს დამატებითი რჩევები და რეკომენადაციები არ აქვს და არსებული რეკომენდაციები სრულად მიიჩნია შესრულებულად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, აღნიშნა, რომ ანგარიშში ასახული იყო ის სამუშო რაც ჩატარდა ექსპერტების რეკომენდაციების შესრულებისათვის და აღნიშნა, რომ ორივე რეკომენდაცია იყო შესრულებული, კერძოდ 9 სილაბუსი ხელოვნების ისტორიის და მათ შორის ისლამური ხელოვენების დამატებულია. ხოლო, მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, კერძოდ ლიტერატურის განახლებასთან მიმართებით, აღნიშნა, რომ 21 სილაბუსში შესული იყო ახალი ლიტერატურის ჩამონათვალი, ხოლო რაც შეეხება ქართულენოვანი ლიტერატურის სიმწირეს, რომელიც არა მხოლოდ ამ დარგის, არამედ თითქმის ყველა დარგის პრობლემაა. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ 2023 წლის იანვრიდან დაწესებულების სტრატეგია შეიცვალა და ფაქტიურად ყველა ფაკულტეტს დაევალა სასწავლო რესურსის მომზადება, ეს იქნება მონოგრაფიული კვლევა თუ სასწავლო რიდერი, ხოლო შესაბამის ხარჯებს გაიღებდა ინსტიტუცია. შესაბამისად დაეხმარება ფაკულტეტს დაწესებულებამ აღმოფხვრას ქართულენოვანი ლიტერატურის სიმწირე წარმოდგენილ პროგრამაზე და არა ამარტო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები. საბჭოს წევრების მიერ დამატებითი კითხვები განსახილველი საკითხის ირგვლივ არ ყოფილა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:07

დასრულების დრო: 15:08

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ,,ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაციის'' სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი;

კენჭისყრისშედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი- 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27[6] - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2[11]პუნქტის საფუძველზე, სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ,,ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაციის'' სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილიანგარიში საბჭოს მიერ, ცნობად იქნა მიღებული.

მეექვსე საკითხი:
სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,არქიტექტურის'' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის პირობების შესრულების არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ,,არქიტექტურა"
საფეხური - ბაკალავრიატი
სწავლების ენა - ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - არქიტექტურის ბაკალავრი
დეტალური სფეროს კოდი - 0731 არქიტექტურა და ქალაქდაგეგმარება

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა ნინო ჭალაგანიძემ
საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს, შესაბამის დოკუმენტებსა და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
ცენტრმა დაადასტურა რომ ქვორუმი არის და საბჭოს სხდომას ესწრება როგორც ექსპერტები ასევე დაწესებულების წარმომადგენლები.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას არაგეგმიური მონიტორინგის ჩატარების შესახებ და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აღნიშNულ დოკუმენტებს.
მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტ (ებ)სწარმოედგინა(თ)მისი პოზიცია.
ექსპერტი მიესალმა საბჭოს ხდომაზე დამსწრე წევრებს და აღნიშნა, რომ ინსტიტუციამ სრულად შეასრულა და გამოასწორა ექსპერტების მიერ დადგენილი რეკომენდაციები. მიიჩნევს რომ ინსტიტუციის მხრიდან სრულყოფილად იქნა შესრულებული აღნიშნული პროცესი. შეფასება უკავშრდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის დადგენის პროცესს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელი, გაიოზ ფარცხალაძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, ინსტუტუციამ იმუშვა გაცემული რეკომენდაციის შესრულებაზე, რადგან განსახილველი პროგრამა შესაბამისობაში ყოფილიყო კვალიფიკაციის ჩარჩოს დოკუმენტთან. მან აღნიშნა, რომ გაცემული რეკომენდაციებიდან, ერთ-ერთი საკითხი შეეეხებოდა შემოქმედებით ტურს, რომელიც გაკეთდა ხაზვაში, მოცემულ იქნა ალტერნატული ვარიანტი, რომ სასურველი იყო ხატვაშიც გაკეთებულიყო ასეთი ტური. შემოქმედებითი ტურის ძირითად მიზანს წარმოადგენდა რომ შეემოწმებულიყო აბიტურიენტების აზროვნების უნარი მესამე

განზომილებაში. ამიტომაც, მათ მიიჩნიეს რომ ხაზვაშიც მომხდარიყო შემოწმება, შესაბამისად, განაცხადები გაკეთებული იყო და ივლისის თვეში ჩატარდებოდა შემოქმედებითი ტური. აღნიშნეს, რომ შესაძლებელი იყო სამომავლოდ ტური ჩატარებულიყო ხატვაშიც.
ექსპერტმა გიორგი წანაწყენაშვილმა დაამატა თავის პოზიცია და აღნიშნა,რომ დაწესებულების წარმომადგენლებს ეთანხმებოდა იმ ნაწილში, რომ სამომავლოდ სასურველი იქნებოდა რომ ხატვის კომპონენტშიც ჩამატებულიყო შემოქმედებითი ტურში.
ექსპერტმა თანამ გვიანიშვილმა აღნიშნა, რომ ხაზვის ტური ნამდვილად უზრუნველყოფს სამგანზომილებიანი სივრცის უნარის შემოწმების შესაძლებლობას. ხატვაც სასურველი იქნებოდა, თუმცა ხატვის ტურის საკმარისი იყო მოცემული უნარის შემოწმებისა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა ქეთევან ქუთათელაძემ დამაზუსტებელი კითხვა დასვა, მას აინტერესებდა დაფინანსების შესახებ, კერძოდ იყო თუ არა აღნიშნული პროგრამა სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული.
დაწესებულების წარმომადგენელმა, გაიოზ ფარცხალაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამა მოცემულ შემთხვევაში არ იყო სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:16
დასრულების დრო: 15:17
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,არქიტექტურის'' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის პირობების შესრულების არაგეგმიური მონიტორინგზე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი;
კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 31-ემუხლის 2^5-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,არქიტექტურის'' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისარაგეგმურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.
მეშვიდე საკითხი:
შპს საქართველოს უნივერსიტეტის ,,ინგლისური ფილოლოგიის'' ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - „ინგლისური ფილოლოგია“
საფეხური - ბაკალავრიატი
სწავლების ენა - ინგლისური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ინგლისურ ფილოლოგიაში
დეტალური სფეროს კოდი - 0231 ენის დაუფლება

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ განსახილველი საკითხის ირგვლივ წარმოდგენილ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. ცენტრმა დაადასტურა, რომ საბჭოს სხდომას ესწრებიან როგორც ექსპერტები, ასევე დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტ(ებ)სწარმოედგინა(თ)მისი პოზიცია.

ექსპერტი ნინო ჯოჯუა მიესალმა საბჭოს დამსწრე წევრებს და აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში დაწესებულების მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის შესაბამისად, მათ მიერ, შესრულებულ იქნა ექსპერტების მიერ გაცემული 8 რეკომენდაციისაგან 7 რეკომენდაცია. თუმცა, ხაზი გაუსვა, რიგით მეორე რეკომენდაციას, რომელიც ექსპერტის მოსაზრებით ნაწილობრივ იქნა შესრულებული. ასევე, დეტალურად იქნა განხილული თითოეული რეკომენდაცია, კერძოდ ექსპერტმა აღნიშნა, რომ პირველი რეკომენდაცია რომელიც შეეხებოდა ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების მეტად ჩართულობის უზრუნველყოფას გაცვლით პროგრამებში, აღნიშული რეკომენდაცია დაწესებულების მიერ საანგარიშო პერიოდში სრულად იქნა შესრულებული. კერძოდ, 11 სტუდენტი დააფინანსა ფაკულტეტმა და მათ მიიღეს მონაწილეობა სხვადასხვა, ,,სადაფის'' მიერ ორგანიზებული საერთაშრისო კონფერენციებში, ასევე, ერთ-ერთი მათგანი იმყოფებოდა იტალიაში, ასევე გამოთქვა მზაობა დაწესებულებამ აღნიშნული პროცესის კიდევ უფრო გაძლიერებისათვის.

რაც შეეხება მეორე რეკომენდაციას, რომელიც გაცემული იყო თავდაპირველად ექსპერტთა ჯგუფის მიერ, აღნიშნა ექსპერტმა, რომ გამოიყურება ასე, ,,განისაზღვროს სამიზნე ნიშნულები პროგრამის თითოეული შდეგისთვის და პროგრამის შედეგების რუკაში აისახოს მიმართება პროგრამის მიზნებსა და შედეგებს შორის''. საგულისხმოა, რომ მოცემული რეკომენდაცია, ექსპერტის მოსაზრებით, საანაგარიშო პერიოდში ნაწილობრივ იქნა შესრულებილი, იმდენად რამდენადაც, საანგარიშო პერიოდში წარმოდგენილია მიზნებისა და შედეგების შესაბამისობის რუკა, სადაც კარგად არის გაწერილი 6 მიზანსა და 15 შედეგს შორის შესაბამისობა და ანგარიშში პირველი მიზანი კერძოდ, ,,მისცეს ლინგვისტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის კონცეპტუალური აპარატურის მეთოდოლოგიური და თეორიული საფუძლების თავისებურებების შესახებ ცოდნა'' რომელის პირობითად, შეესაბამება ,,კუსდამთავრებული იცნობს მსოფლიო ისტორიას ლინგვისტიკის და ლიტერატურათმცოდნეობის კონცეპტუალურ აპარატს''. თუმცა, რაც შეეხება სამიზნე ნიშნულებს, მოწოდებულ დოკუმენტებში, ამგვარი ვერ იქნა მის მიერ მოძიებული, შესაბამისად მიიჩნია, რომ დაწესებულებამ უნდა იმუშაოს ამ მიმართულებით და წარმოადგინოს სამიზნე ნიშნულები, კერძოდ, რომელი სწავლის შედეგების, უშუალოდ რომელი სასწავლო კურსისა თუ კომპონენტის საშუალებით ხდება შედეგების შეფასება და ა.შ.

აღნიშნა ექსპერტმა, რომ მესამე რეკომენდაცია შეეხებოდა მიმდინარე სასწავლო კურსებში სასწავლო ლიტერატურის განახლებას და თავდაპირველი დასკვნის მიხედვით, რამდენიმე კურსს შეეხებოდა კონკრეტულად, საანგარიშო პერიოდში ორივე კურსში, ,,განათლების ისტორია და ფილოსოფია'' და ,,სტილისტიკა'' და აღნიშნა, რომ გაცემული რეკომენდაცია შერულებულია დაწესებულების მხრიდან და შევსებულია თანამედროვე ლიტერატურით.

მეოთხე რეკომენდაცია შეეხებოდა პრაქტიკის სასწავლო კურსის დაშვების წინაპირობების განსაზღვრას, აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულია, კერძოდ, განისაზღვრა ინგლისურ ენის სწავლების მეთოდიკის კურსი დაშვების წინაპირობაში.

მეხუთე რეკომენდაცია ეხებოდა აუცილებელი ცოდნის უნარების კომპეტენციების მქონე პირების პროგრამაში ჩართვის უზრუნველსაყოფად რეკომენდებულია განხორციელდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები კერძოდ, საერთაშორიოს სერტიფიკატების TOEFEL, IELTS, და B2 დონის შესაბამისობის, ქულობრივად დაკონკრეტებას. რაც ექსპერტის მოსაზრებით, შესრულებულია.
მეექვსე რეკომენდაცია ექსპერტის მითითებით, შეეხებოდა, დაზუსტებულ ინფორმაციას პედაგოგიური პრაქტიკის ხელმძღვანელზე, აღნიშნული რეკომენდაციისა საფუძველი, როგორც ჩანდა თავდაპირველი დასკვნიდან, გახდა ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ, არ იყო მითითებული ავტორი. ამ ეტაპისთვის ეს რეკომენდაციაც შესრულებულია დაწესებულების მიერ.
რაც შეეხება, მეშვიდე რეკომენდაციას, აღნიშნა ექსპერტმა, რომ შეეხებოდა სასწავლო კურსების ,,პროფესიული კომუნიკაცია და პედაგოგიური პრაქტიკა'' შეფასების მეთოდების კურსის შინაარსთან შესაბამისობაში მოყვანას, რაც ამ დროისათვის ნამდვილად შესაბამისობაშია. კერძოდ, პროფესიული კომუნიკაცია უფრო მეტად ორიენტირებულია ზეპირ მეტყველებაზე, მანამდე ფიგურირებდა შეფასების მეთოდი - თარგმანი, ხოლო ეხლა უკვე განსაზღვრულია- ზეპირი მეტყველება, ექსპერტის მოსაზრებით, აღნიშნული უფრო ლოგიკურია.
მეორე კურსის შემთხვევაში, ეს არის პრაქტიკა, მანამდე თუ იყო, ქვიზი დასკვნით გამოცდაზე ახლა უკვე გვხვდება ადეკვატური შეფასების მეთოდები, მაგალითად როგორიც არის გაკვეთილის გეგმები, მასალების შედგენა და ა.შ აღნიშნა ექსპერტმა.
მერვე რეკომენდაცია შეეხებოდა ხარისხის უზრუნველყოფის არსებული მექანიზნების ქმედითუნარიანობას, კერძოდ უფრო მეტ კომუნიკაციას პროგრამის განვითარების ჯგუფსა და ხარისხის სამსახურთან, რის საფუძველიც გახდა, დასკვნის შესაბამისად, მოწვეული აკადემიური პერსონალის მიერ ინტერვიუზე გამოკვეთილი უზუსტობა, კერძოდ იმის შესახებ, თუ რამდენად იცნობდნენ სილაბუსების შინაარსსა და სტრუქტურას. თუმცა, საგულისხმოა, რომ უნივერსიტეტმა წარმოადგინა დოკუმენტები იმის თაობაზე, რომ 2021-2023 წლებში ჩატარდა 4 ტრენინგი და ამ ღონისძიებაში როგორც მოწვეულმა, ასევე აკადემიურმა პერსონალმა მიიღო მონაწილეობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრებს, მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისათვის და აღნიშნა, რომ ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციების უმრავლესობა გაზიარებულია დაწესებულების მიერ და აღნიშნა, რომ ამისათვის საკმაოდ დიდი შრომა იქნა ჩადებული. ასევე მიუთითა, რომ აკრედიტაციის შემდგომ საანგარიშო პერიოდი მიმართული იყო პროგრამის გაუმჯობესებისაკენ, რის შედეგებიც იქნა ასახული დასკვნაში. რაც შეეხება მეორე რეკომენდაციას, აღნიშნა, რომ იგი შედგებოდა ორი ნაწილისაგან, კერძოდ პირველი ნაწილი, ნაკარნახევი იყო იმ მოთხოვნით, რომელიც გულისხმობს შედეგების გენერალიზაციას. აღნიშნა, რომ ექსპერტების სურვილი სპეციფიკაციის გარკვეული შედეგებისა გასაგებია, თუმცა, მიაჩნიათ რომ გენერალიზაციაშიც არ არის დარღვეული ლოგიკა, ანუ რუბრიკებში მოქცეულია ყველა ის კომპონენტი რომელიც ინტეგრალურია როგორც ერთი სააზროვნო მიმართულებებისათვის, კერძოდ ლინგვისტიკისათვის, ასევე ლიტერატურისათვის. რაც შეეხება გენერალიზაციის პროცესს, ამის კეთებას თავისი ისტორია აქვს აღნიშნა დაწესებულების წარმომადგენელმა, არსებობდა ძალიან სპეციფიკური შედეგები, შემდეგ თავად აკრედიტაციის პროცესმა მოითხოვა შედეგების გენერალიზაცია. აქვე აღნიშნა, რომ მოცემული ორი მიმართულება შეიძლება ითხოვდეს გარკვეულ სპეციფიცირებას, თუმცა აქაც დაწესებულება თანხვედრაშია აკრედიტაციის მოთხოვნებთან, რომ ყველა შედეგი დაისვას მაქსიმუმ თორმეტ რუბრიკამდე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრ თამარ ტუფინაშვილს დაწესებულების მიმართ ჰქონდა კითხვა, მან აღნიშნა, რომ ენის დაუფლების დარგობრივი მახასიათებლის თანახმად, ინგლისური ფილოლოგიის პროგრამა მოიცავს ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის ასპექტებს, ასევე შესაძლებლია მოიცავდეს თარგმანთმცოდნეობას და ა.შ. იმავე, დარგობრივი მახასიათებლის თანახმად, სადაც განსაზღვრულია კუსდამთავრებულის დასაქმების სფეროების შესაძლებლობები, მითითებულია როგორც სკოლამდელი ასევე ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი საგანმანთლებლო დაწესებულებები. ასევე დათქმა არის, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შეზღუდვებთან მიმართებითაც. მას აინტერესებდა, რას ემსახურებოდა პედაგოგიური პრაქტიკა რომელიც ზის ამ პროგრამაში, და რამდენად რელევანტურია ბაკალავრის საფეხურზე სახელმწიფო აღნიშნული შეზღუდვების გათვალისწინებით პედაგოგიური პრაქტიკის არსებობა.
დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნა, რომ რელევანტურია აღნიშნული მოცემულობა იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამაში საკმაოდ დიდი მოცულობის კრედიტებია გამოყოფილი პედაგოგიური პრაქტიკისათვის და იმ თეორიული საგნებისათვის რომელიც წარმოდგენს აუცილებელ და საკმარის პირობას იმისათვის, რომ სტუდენტმა მიიღოს ის საბაზისო ცოდნა, რომლის გამოყენება შესაძლებელი იქნა აუდიტორიაში. ასევე აღნიშნა, რომ ზოგადად ამ ტიპის კონტენტით არანაირად არ ირღვევა, კანონმდებლობა, რადგან კანონმდებლობაში სწორედ ის არის მითითებული რომ კრედიტების მოცულობა და ამ კრედიტების შინაარსი, ერთის მხრივ თეორიული და მეორეს მხრივ პრაქტიკული კომპონენტი უნდა იყოს შესაბამისობაში. ასევე აღინიშნა, რომ მათი მოსაზრებით, აღნიშნული შესაბამისობაშია ერთმანეთთან. ასევე აღინიშნა, რომკომპეტენციის განხორციელებას საკმაოდ კარგად ახერხებენ კურსდამთავრებულები თუ სტუდენტები, რომელიც დადასტურდება პრაქტიკის კვლევით. ასევე წარმოდგენილი პროგრამა არის ინგლისურენოვანი და მათი სტუდენტების უმეტესობა არის უცხო ქვეყნის მოქალაქე, შესაბამისად, ამგვარი შეზღუდვა მათ ქვეყნის კანონმდებლობაში არ მოქმედებს პედაგოგიურ საქმიანობასთან მიმართებით. ასევე აღნიშნეს, რომ პროგრამაში ჩაშენებულია საკმაოდ რაოდენობა კრედიტებისა ინგლისურენოვანი პედაგოგებისათვის, ისინი ინგლისურენოვან სკოლებში გადიან პრაქტიკას იმისათვის რომ შემდეგ პრაქტიკაში გამოიყენონ ეს უნარები, ძირითადად თავიანთ ქვეყანაში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:35
დასრულების დრო: 15:41
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს საქართველოს უნივერსიტეტის ,,ინგლისური ფილოლოგიის'' ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი;
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[6] - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2[11] პუნქტის საფუძველზე, შპს საქართველოს უნივერსიტეტის ,,ინგლისური ფილოლოგიის'' ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილიანგარიში, საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

მერვე საკითხი:
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა საჯარო მმართველობაში“ სამაგისტრო საგანმანათლებლო

პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა საჯარო მმართველობაში“
საფეხური - მაგისტრატურა
სწავლების ენა - ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი საჯარო მმართველობაში“
დეტალური სფეროს კოდი - 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადეს გიორგი ღაღანიძემ, ნინო ჭალაგანიძემ და ვასილ კიკუტაძემ.
საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ განსახილველი საკითხის ირგვლივ წარმოდგენილ დოკუმენტებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. ცენტრმა დაადასტურა რომ ქვორუმი არის და საბჭოს სხდომას ესწრება როგორც ექსპერტები ასევე დაწესებულების წარმომადგენლები.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.
მერვე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტ (ებ)სწარმოედგინა (თ)მისი პოზიცია.
ექსპერტი მიესალმა საბჭოს ხდომაზე დამსწრე წევრებს და აღნიშნა, რომ თავის დროზე როდესაც ჩატარდა აკრედიტაციის პროცესი გაცემული იყო 10 რეკომენდაცია და რამდენიმე რჩევა და დასკვნა იყო შემდეგნაირი, რომ პირველი სტანდარტი ნაწილობრივ შესაბამისობაში იყო დადგენილ მოთხოვნებთან, ასევე მეოთხე სტანდარტი სწავლების რესურსების უზრუნველყოფა, ხოლო დანარჩენი სტანდარტები სრულად იყო შესაბამისობაში დადგენილ მოთხოვნებთან. ასევე აღნიშნა რომ გაცემული რეკომენდაციების ნაწილი იყო შესრულებული სრულად ხოლო ნაწილი არ იყო შესრულებული და მათზე წარმოდგენილი ჰქონდა დაწესებულებას არგუმენტირებული პასუხი. ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა მეორე რეკომენდაციაზე, იგი ეხება პირველ სტანდარტს, ,,საგანმანთლებლო სტრუქტურა და შინაარსი'' 1.4., რეკომენდაცია მოითხოვდა საზოგადოებასთან ურთიერთობის კურსის ჩანაცვლებას სხვა დისიპლინით, რომელიც უფრო რელევანტური იქნებოდა პროგრამისათვის. აღნიშნულთან დაკავშირებით, მოხდა არჩევითი კურსის ჩანაცვლება ეროვნული უსაფრთხობის კურსით, მაგრამ ექსპერტების მიერ შეთავაზებულ იყო სავარაუდო კურსი ,,პოლიტიკის დიზაინი და ანალიზი'', თუმცა, საგულისხმოა რომ ეს შეთავაზება არ მიიღო დაწესებულებამ, იმ არგუმენტით რომ ამ კურსით გათვალისწინებული თემატიკას ფარავდა სხვა კურსი, ეს იყო უსაფრთხოება პოლიტიკის და სტრატეგიის ანალიზი. ასევე აღნიშნა, რომ არ იქნა შესრულებული მესამე რეკომენდაცია, სადაც შეთავაზებული იყო ადამიანური რესურსების მართვი კურსის გადანაცვლება პირველ სემესტრში და მისი სტრატეგიული ლიდერობის წინაპირობად განსაზღვრა. დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტაცია, რომ ადამიანური რესურსების მართვა უფრო არის წინაპირობა სტრატეგიული მენეჯმენტის კურსისა, რადგან სტრატეგიული ლიდერობა გათვლილი არის სამხედრო მეთაურებზე და იმ ადამიანებზე, რომელთაც გარკვეული უნარები და თეორიები აქვს ლიდერობისა, ხოლო სტატეგიული მენეჯმენტი არის გათვლილი საჯარო სექტორში მენეჯმენტის დაგეგმვასთან დაკავშირებით და

შესაბამისად, ადამიანური რესურსები უფრო რელევანტური იყო ამ კურისათვის, როგორც წინაპირობა.
გარდა ამისა, აღნიშნა ექსპერტმა, რომ დაწესებულების განმარტებით კურსი სიღრმისეულ თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას იძლევა ადამინიური რესურსების მართვის მიმართულებით და ამიტომაც, უმჯობესია იგი იყოს მეორე სემესტრში როდესაც უკვე სტუდენტებს ექნებათ გარკვეული ინფორმაცია მენეჯმენტის საკითხებთან დაკავშირებით. ასევე, აღნიშნა, რომ არ იქნა შესრულებული მეექვსე რეკომენდაცია, სადაც ისევ ადამიანური რესურსების მართვის კურსზე იყო საუბარი 1.5 კომპონენტში, სადაც ექსპერტების შეთავაზება იყო რომ მოცემული კურსი გამდიდრებულიყო ორგანიზაციებისათის სპეციფიკური თემებით. მაგალითად, პერსონალის მართვა „სსიპ“-ებსა და „ა(ა)იპ“-ებში, ასევე დამატებულიყო ,,საჯარო სამსახურის შესახებ'' საქართველოს კანონის საკითხები. დაწესებულების არგუმენტაციით, ეს საკითხები ისედაც არის ინტეგრირებული, ამ კურსში ხოლო, თავად კანონი მითითებულია როგორც ძირითადი ლიტერატურა, თუმცა აღნიშნა ექსპერტმა, რომ სილაბუსში კანონის განხილვა არ იყო მითითებული. რაც შეეხება სსიპ-ებია და ააიპ-ები საკითხთან დაკავშირებით, კურსის ხელმძღვანელის მითითებით, რადგან ეს საკითხები შედის კანონის რეგულირების სფეროში, ამდენად არ არის მიზანშეწონილი, ცალკე სსიპ და ააიპ-ის განხილვა ცალკე საკითხად განხილვა, თუმცა ექსპერტმა აღნიშნა, რომ გაცემული რეკომენდაცია ამას არ ეხებოდა, რეკომენდაციის შესაბამისად, რადგან ჯერ კიდევ არ არის ცხადად ჩამოყალიბებული და ჯერ კიდევ დამუშვების პროცესშია კანონი ამ მიმართულებით, მიიჩნია, რომ მიზანშეწონილია. რომ არა კონკრეტული დაწესებულების მაგალითი ყოფილიყო განხილული, არამედ ის პროცესები რომელიც მიმდინარეობს ამგავრ დაწესებულებებში, ასევე გამხდარიყო ამ კურსის შინაარსის ნაწილი. შესაბამისად ექსპერტის თქმით, აღნიშნული რეკომენდაცია არ იყო შესრულებლი. რაც შეეხება დანარჩენ რეკომენდაციებს, ექსპერტმა აღნიშნა, რომ შესრულებულია და ასევე რჩევა მიღებულია გასათვალისწინებლად. რაც შეეხება მეცხრე რეკომენდაციას მისი შესრულება ახლა მიმდინარეობს, სწავლების რესურსების უზრუნველყოფა ადამიანური რესურსებთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში ჩართული დარგობრივი მიმართულებით დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მქონე პედაგოგების რაოდენობის გაზრდას და როგორც ცნობილია, ამ დროისათვის, დაწესებულებას დაგეგმილი აქვს პარტნიორი თავდაცვის აკდემიიდან მოწვეული პერსონალისათვის ხელმშემწყობი პირობების შექმნა რომ მოხდეს აღნიშნულ პროგრამაზე მეტად უფრო პრაქტიკული კადრების მოზიდვა და მათი ჩართვა სხვადასხვა პროექტებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი, მარინა ჩავლეიშვილი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის.
გაცემული რეკომენდაციების იმ ნაწილს რომელიც ექსპერტის მითითებით არ იქნა შესრულებული, აღნიშნა, რომ ადამიანური რესურსების მართვის კურსს რომლის სემესტრულ ცვლილებასა და წინაპირობაზე იყო ყურადღება გამახვილებული. ამ შემთხვევაში პროგრამის ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს, რომ როდესაც განხორციელდება პროცესი, იმის მიხედვით, თუ რა შედეგი დაიდება, მოხდება შეფასება, თუ რამდენად რელევანტური იქნება სტატეგიული მენემენტისა და აღნიშნული კურსის ერთ სემესტრში სწავლება, შედეგების მიხედვით შესაძლებელია სემესტრული ცვლილებაც განხორციელდეს და ასევე, შესაძლებელია წინაპირობებიც გადაიხედოს. ამდენად დიდ პრობლემად ეს საკითხი დაწესებულების წარმომადგენელს არ მიუჩნევია. რაც შეეხება, სასწავლო კურსს სტრატეგიული მენეჯმენტი საჯარო სექტორში'' კურსის სილაბუსს, მართალია გარკვეულ წილად კანონიც ისწავლება და ეროვნული უსაფრთხოების სამართლებრივ უზრუნველყოფაც რაღაც კუთხით ამყარებს კანონმდებლობის მიმართულებას, მაგრამ, ამასთანავე დასძინა ისიც, რომ პროგრამას აკრედიტაცია მიღებული აქვს კლასტერის ვადით, ამჟამად პროგრამა წარგენილია ხელახალ

აკრედიტაციაზე, შესაბამისად ხელმეორედ მოხდება აკრედიტაციის პროცესში აღნიშნული საკითხების განხილვა.
ექსპერტმა, დაწესებულების წარმომადგენლის პოზიციის შემდგომ დააზუსტა და ხაზი გაუსვა, რომ პირველ შემთხვევაში რეკომენდაციის არ შესრულების არგუმენტაცია რომელიც წარმოდგენილ იქნა დაწეებულებისაგან, იყო მისაღები და გასათვალისწინებელი, შესაბამისად ექსპერტების ძირითადი მითითება არის სასწავლო კურსის გამდიდრებასთან მიმართებით. ასევე დადასუტებულია არგუმენტით, თუ რატომ არ არის შესრულებული გაცემული რეკომენდაცია და აღნიშნა, რომ ექსპერტებს ამასთან დაკავშირებით არ აქვთ არანაირი შენიშნვა თუ მითითება.
დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ რაც შეეხება მეორე რეკომენდაციას, იზიარებს ექპერტების პოზიციას, რომ შესაძლებელია კურსი ფართოდ და უფრო სიღრმისეულად იყოს წარმოდგენილი სილაბუსში, თუმცა მისი თქმით, საგნის ხელმძღვანელი მიუთითებს, რომ სიღრმისეულ განხილვებს თავად კურსის შესწავლისას ახორციელებს. ასევე დასძინა, რომ აკრედიტაციის ახალი განაცხადი წარდგენილია ცვლილებების სახით და ამ კუთხითაც გამახვილებულ იქნება ყურადღება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა ქეთევან ქუთათელაძემ დამაზუსტებელი კითხვა დასვა ექსპერტის მიმართ, სასწავლო კურსის - ადამიანური რესურსების მენეჯმენტის სილაბუსთან დაკავშირებით, ხომ არ ფიქრობს, რომ აკადემიური თავისუფლების ფარგლებში სილაბუსის ავტორს იმ შედეგებიდან გამოდინარე რასაც უნდა რომ მიიღწიოს, აქვს უფლება თავად განსაზღვროს სასწავლო კურსების კვირეული დატვირთვის თემები და გარკვეული ანალიზის შედეგების საფუძველზე მოახდინოს მოდიფიცირება, თუკი ეს შემდგომში საჭირო გახდება.
ექსპერტებმა აღნიშნა, ყოველთვის სიფრთხილით ეხებიან აკადემიური თავისუფლების საკითხს და აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია არ იქნეს დარღვეული ეს საკითხი, რადგან სხვადასხვა დაწესებულებებში არ შეიძლება ერთნაირი სილაბუსით მიდიოდეს პროცესი, მაგრამ რადგან აქ საჯარო სფეროა და საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვა არის საჯარო მმართველობის რეფორმის ნაწილი, ამდენად ამ კონტექსტის მიწოდება მიგვაჩნია, რომ არის აუცილებელი, რადგან კანონმა შემოიტანა ის ცვლილებები რითიც რეგულირდება საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვა. ასევე აღნიშნა, რომ დღეს არის მწვავე საკითხი თუ როგორ უნდა რეგულირდებოდეს სსიპ-ებში სამართლებრივი მოცემულობა, უნდა იყვნენ თანამშრომლები გათანაბრებული საჯარო მოხელეებთან, თუ უნდა ქონდეთ მათ მეტი თავისუფლება მოქმედების ფარგლებში. შესაბამისად, ამ საკითხებზე მსჯელობა კონტექსტის განსაზღვრას გულისხმობს, ვიდრე თემის მითითებასა და აკადემიურ თავისუფლებაში შესვლას. ასევე აღნიშნა, რომ თუ კი ამგვარი რეკომენდაცია იქნება გაცემული ექსპერტის მიერ, ყოველთვის მზად არის უკან დაიხიონ, ვიდრე ამგვარი რეკომენდაცია შესრულდეს და ლექტორის აკადემიური თავისუფლება შეიზღუდოს. ასევე დაამატა რომ ,,საჯარო სამსახურის შეახებ'' საქართველოს კანონი, მოხელის კარიერის მართვის ნაწილში სრულად აღწერს იმ პროცესებს რომელიც უნდა ხდებოდეს საჯარო სამსახურში, რომელის კანონის გარეშე მათი სწავლა შესაძლებელია ვერ განხორციელდეს სრულყოფილად.
თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა კონსტანტინე პეტრიშვილმა, რომელიც არის პროგრამის თანახელმძღვანელი, დაამატა რომ თავდაცვის სამინისტროსთან ერთობლივი მუშაობით შეიქმნა ეს პროგრამა. ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია გაცემულ რეკომენდაციებთან მიმართებით იყო გაზიარებული და ჩათვლილი ექსპერტების მიერ. რაც შეეხება, საზოგადოებრივი ურთიერთობების კურსის ჩანაცვლებას და ადამიანური რესურსების მართვის წინაპირობად არ დაყენებას ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტებმა. იგი სრულად ეთანხმება, რომ აუცილებელია ახალ კანონთან მიმართებაში განხილულ იქნეს კურსის განმავლობაში რეკრუტირებისა და საჯარო სამსახურის შესახებ

კანონი. აქვე აღნიშნა, რომ სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელი იქნება იმ პირებისათვის, რომელსაც აქვს საჯარო სამსახურის შესახებ კანონით გათვალისწინებული 5 წლიანი გამოცდილება. შესაბამისად, მიაჩნია რომ არ არის აუცილებელი, დასაწყისი საკითხები შეისწავლებოდეს დაწვრილებით.
საბჭოს წევრმა დიმიტრი ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამა, სტუდენტების კვალიფიკაციის ამაღლებასა და მათ სამომავლო პროფესიულ განვითარებაში დიდი დადებით როლს შეასრულებს. ასევე, აღნიშნა, რომ სასწავლო კურსში არის აკადემიური წერისა და კვლევის სასემინარო კურსი, სადაც ორი კონცეპტუალურად განსხვავებული სფერო არის შეერთებული. ასევე აღნიშნა, რომ რაც გამოწვეული იყო იმ საჭიროებით, რომ ცალ-ცალკე ამ საგნებისათვის ალბათ არ იყო საშუალება რომ სასწავლი კურსები ჩამჯდარიყო სტრუქტურაში. მისი კითხვა ეხებოდა ახალი აკრედიტაციის პროცესში წარდგენილ სასწავლო კურსს. მას აინტერესებდა ახალ პროგრამაშიც ერთად იყო წარდგენილი თუ გაყოფილი იყო კვლევის მეთოდები და აკადემიური წერა.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ახალ განაცხადში ერთად იყო წარდგენილი აღნიშნული სასწავლო კურსი. რადგანაც, სამაგისტრო პროგრამა არის მოცემული შესაბამისად, არ იძლეოდა პროგრამა გაყოფილს შესაძლებლობას, თუმცა ასევე ხაზი გაუსვა რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობა არის საჯარო სამსახურში 5 წლიანი მუშაობის გამოცდილება, რის გამოც მეტნაკლები გამოცდილების მქონე აპლიკანტები იქნებიან განმცხადებლები.
საბჭოს წევრმა დაამატა რომ მომავალში თუკი შესაძლებლობა იქნება განსაკუთრებული ყურადღება დათმობოდა ორივე თემატიკას. აღნიშნა, რომ კვლევით ნაწილში, მაგალითად, კვლევის დიზაინი რაოდენობრივი მეთოდები თითოეული მათგანი მოიცავს თითო ლექციას და მრავალრიცხოვანი მასალას. გამომდინარე აქედან, გამოცდილების მქონე ადამიანისათვისაც, თუ კი მათ კვლევის პრაქტიკა არ მოჰყვება, რთულია მასალის ათვისება. შესაბამისად, მიაჩნია რომ მეტი ძალისხმევა შეიძლება იქნეს ამ მიმართულებით, ამდენად თუ კი მომავალში იქნება სტრუქტურის ოპტიმიზაციის საშუალება, პირველი შეიძლება რაც შეიძლება გაკეთდეს, ეს არის კვლევის მეთოდოლოგიის და კვლევით პრაქტიკისათვის სათანადო ფორმატის გამოძებნა და ერთი სასწავლო კურსის მიძღვნა, ეს განსაკუთებით გაამდიდრებს სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებისათვის უნარებს.
დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ გაცემული რჩევა საყურადღებოა, თუმცა ყურადღება გაამახვილა, იმაზე რომ ერთწლიანი პროგრამების კურსდამთავრებულები სადოქტორო პროგრამაში ვერ გააგრძელებენ სწავლას, ხოლო ის, რაც კურსი ფარგლებში უნდა შეასრულონ კვლევით კომპონენტში, მიიჩნევს, რომ მისაღები იქნება.
საბჭოს წევრს, ციური დურულს კითხვა ქონდა მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან მიმართებით, მას აინტერესებდა, კვალიფიკაცი იყო თუ არა შესაბამისობაში დარგობრივ მახასიათებელთან.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მენეჯმენტის და ადმინიტრირების დეტალური სფეროს ქვეშ განიხილებოდა ეს პროგრამა, შესაბამისად კვალიფიკაციას, წარმოდგენილ კლასიფიკატორის შესაბამისად, წარმოადგენდა აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი საჯარო მმართველობაში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:11
დასრულების დრო: 16:16
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა საჯარო მმართველობაში“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი;
კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[6] - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2[11] პუნქტის საფუძველზე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა საჯარო მმართველობაში“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში, აკრედიტაციის საბჭოს მიერ ცობად იქნა მიღებული.
საბჭომ დღის წესრიგით გათვალისწინებული მეცხრე და მეათე საკითხი განიხილა ერთად:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ქართველური ენათმეცნიერების'' სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ფილოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - „ქართველური ენათმეცნიერება“
საფეხური - მაგისტრატურა
სწავლების ენა - ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ქართველური ენათმეცნიერების მაგისტრი
დეტალური სფეროს კოდი - 0232 ლიტერატურა და ლინგვისტიკა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - „ფილოლოგია“
საფეხური - დოქტორანტურა
სწავლების ენა - ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ფილოლოგიის დოქტორი
დეტალური სფეროს კოდი - 0232 ლიტერატურა და ლინგვისტიკა

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა გიორგი ღაღანიძემ, ნინო ჭალაგანიძემ და ვასილ კიკუტაძემ.
საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს, შესაბამის დოკუმენტებსა და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. ცენტრმა დაადასტურა რომ ქვორუმი არის და საბჭოს სხდომას ესწრებიან როგორც ექსპერტები, ასევე დაწესებულების წარმომადგენლები.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.
საბჭოს თავჯდომარემ მიმართა ინსტიტუციასა და ექსპერტს, თანახმა იყვნენ თუ არა რომ ორივე საკითხი ერთად ყოფილიყო განხილული საბჭოს სხდომაზე. დაწესებულების

წარმომადგენელმა დაადასტურა რომ თანახმა იყვნენ ერთად მომხდარიყო აღნიშნულის საკითხების განხილვა, შესაბამისად საბჭომ კენჭი უყარა დღის წესრიგით გათვალისწინებული, ზემოთ აღნიშნული საკითხების საბჭოს სხდომაზე ერთად განხილვას.

აღნიშნული საკითხების ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტ(ებ)სწარმოედგინა(თ)მისი პოზიცია. განსახილველი ორივე საკითხის ირგვლივ.

ექსპერტი ირინა ლობჟანიძე კიდევ ერთხელ მიესალმა საბჭოს ხდომაზე დამსწრე წევრებს და აღნიშნა, რომ ორივე საკითხთან მიმართებით ყურადღებას გაამახვილებდა არსებულ პრობლემებზე. კერძოდ, ორივე პროგრამაზე წარმოდგენილ დოკუმენტაციას აკლდა ფაკულტეტის საბჭოს სხდომების ოქმები, და ასევე თსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება, შესაბამისად, სწორედ ამიტომაც მიმართა ექსპერტმა დაწესებულებას აღნიშნული დოკუმენტების დამატების მიზნით. წარმოდგენილ დოკუმენტებს ახლდა მხოლოდ სამი ოქმი, თსუ-ს მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომის მარტის #4 სხდომის ოქმი, 2023 წლის 9 ნოემბრის ოქმი და 2024 წლის 15 იანვრის ოქმი #1, პრობლემა მდგომარებდა შემდეგში, კერძოდ აღმოჩნდა რომ სადოქტორო პროგამის დამტკიცება არ დგინდება წარმდგენილი არც ერთი ოქმით. შედეგად, ასეთმა მდგომარეობამ შეფასებაზე მოახდინა გავლენა. საზიარო სტანდარტი ორივე პროგრამისათვის, კერძოდ 2. 2.3 სწავლისა და სწავლების მეთოდები, რეკომენდაცია ეხებოდა ზოგადად ონლაინ ტრენინგების ჩატარებას, სწავლის მეთოდებისა და ინსტიტუციებზე აკადემიურ და მოწვეული პერსონალისთვის და ერთ-ერთი მტკიცებულება თვითშეფასებაში იყო ის, რომ მსგავსი ტიპის ტრენინგებს ატარებს რეალურად უწყვეტი განათლების ცენტრი და ბუნებრივია უცხოელი პერსონალიც ჩამოდის და თავად დაწესებულებაც მონაწილეობს ამაში. მაგრამ პრობლემა აღმოჩნდა, რომ მაშინ, როდესაც უკვე შესწავლილ იქნა უწყვეტი განათლების ცენტრის ვებ გვერდი, აღმოჩნდა რომ აკრედიტაციის შემდეგ ასეთი ტიპის ტრენინგი არ ჩატარებულა. ამიტომაც ითხოვა ექსერტმა დაწესებულებისაგან დამატებითი განმარტება, ამ საკითხთან მიმართებასთან დაკავშირებით დაესებულების მიერ გამოგზავნილი იქნა ორი workshop, რომელიც ჩატარდა თსუ-ში და 17 და 21 თებერვალს, აკრედიტაციიდან საბჭოს გადაწყვეტილებიდან რამოდენიმე დღეში. იგი ჩატარდა ფსიქოლოგიის, და არა ფილოლოგიის ფაკულტეტზე. ასევე აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჩანსდაწესებულებას აქვს ელექტრონული პლათფორმის რესურსების გამოყენების მცდელობა, ამიტომაც იქნა მიჩნეული, რომ აღნიშნული რეკომენდაცია ნაწილობრივ არის შესრულებული, როგორც მაგისტრატურის, ასევე დოქტურანტურის დონეზე. . დამატებით აღსანიშნავია, რომ ფილოლოგიის ფაკულტეტს ისევ სჭირდება ამ მიმართულებით მუშაობა და სწორედ ამიტომაც ვერ იქნა მიჩნეული რომ საბჭოს გადაწყვეტილება სრულად შესრულებული.

რაც შეეხება უშუალოდ სადოქტორო პროგრამას, პრობლემური საკითხი, ნაწილობრივ იქნა დაკმაყოფილებული. კერძოდ, გაცემული რეკომენდაცია შეეხებოდა საგანამანათლებლო პროგრამის სტუქტურასა და შინაარსს. უშუალოდ ეხებოდა პროგრამის სწავლის შედეგების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას სტუდენტებისთვის და კურსდამთავრებულებისთვის. იმის გათვალისწინებით, რომ რეკომენდაცია იყო კლასტერული, არც ოქმით არც დადგენილებით არ დგინდებოდა ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის განახლებული სახით დამტკიცება. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სავარაუდოდ, ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია ეხებოდა არა უშუალოდ ფილოლოგის სადოქტორო პროგრამას, არამედ მაგისტრატურის და სხვა პროგრამებს. ამიტომაც შეეცადნენ ექსპერტები, დამატებითი გზებით მოეპოვებინა ინფორმაცია. აღმოჩნდა, რომ უნივერსიტეტის ვებ გვერდზე ატვირთულია სადოქტორო პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა, რომელიც ერთვის ანგარიშთან წარმოდგენილ დოკუმენატაციას და მასში მითითებულია დამტკიცების თარიღი, რომელიც ასევე აკრედიტაციამდე თარიღდება. ექსპერტმა აღნიშნა, რომ აღნიშნული პროგრამა განახლებული სახით ინსტიტუციის ვებ-გვერდზე არ იძიებოდა. ასევე, პრობლემა ეხებოდა სტუდენტებსა და კუსრდამთავრებულებთან შეხვედრასა და კომუნიკაციას, ბუნებრივია, თუ კი პროგრამა

შეიცვალა და ეს არის ასახული ვებ-გვერდზე, სურვილის შესაბამისად ყველა დაინტერესებულ პირს ექნება წვდომა მასზე და შესაბამისი ინფორმაციის მიღება, თუმცა ეს არ გამორიცხავს იმ მოცემულობას, რომ შეხვედრები სტუდენტებთან, და არამარტო მათთან, პროგრამის ცვლილების ინფორმირებულობასთან დაკავშირებით საჭირო და აუცილებელია. დამატებით ასევე იქნა მოძიებული ვებ გვერდზე ტუტორეალის გააქტიურებასთან მიმართებით სწავლის დაწყების პერიოდში, თუმცა ვერ იქნა მოძიებული აღნიშნული ტუტორეალის შესაბამისად. ასევე დაწესებულებაც აღნიშნავდა რომ იგი არის სამომავლო აქტივობა და ჯერ არ არის დანერგილი. ასევე ექსპერტის მოსაზრებით, არ იყო წარმოდგენილი დასწრების ფურცლები რომელიც დაადასტურებდა, რომ იყო თუ არა ეს შეხვედრები, თუმცა საგულისხმოა, რომ აკრედიტაციის შემდეგ მოხდა ღია კარის დღე, ეს განთავსებულიც იყო ვებ გვერდზე, უნივერსიტეტიც ავრცელებს, სადოქტორო საფეხურზე სტუდენტებისა და მათი წარმატების შესახებ სხვადასხვა საშუალებებით ინფორმაციას, რაც მისასალმებელია. ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებაშო აქტივობები ამ კუთხით შეინიშნება, თუმცა მტკიცებულებებთან მიმართებით საკმაოდ რთულია მათი დამტკიცება. დამატებით აღნიშნა, რომ რჩევებისა და რეკომენდაციების ნაწილი გათვალისწინებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებით, გამოთქმულ რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით აღნიშნა, რომ ნაწილობრივ შესრულებულად ჩათვლილია სწავლების მეთოდებისა და დისტანციური სწავლების მეთოდების დამკვიდრება. ასევე, აღნიშნა რომ დისტანციური სწავლების ელემენტები უნივერსიტეტის ყველა პროგრამაში არის წარმოდგენილი. ძირითადად პანდემიის პერიოდში, თუმცა, მას მერე, რაც კანონში ცვლილება იქნა, ელექტრონული და დისტანციური სწავლების შესახებ, ამისათვის დაგვჭირდება ტრენინგები და შეხვედრები რომ ამა ახალი რეგულაცის განხილვა მოხდეს. შესაბამისად ამ ნაწილში მთლად სწორად შეფასებაში ვერ დაეთანხმებოდა ექსპერტს. კანონში ცვლილების ასახვის შედეგ, განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა უნდა გამოსცეს შესაბამისი აქტი და განსაზღვროს, თუ რომელი პროგრამა შეიძლება იქნას დისტანციურ რეჟიმში წარმართული. მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილი ჯერ არ არის ეს საკითხი, ფაკულტეტი ემზადება კიდევ იმისათვის, რომ ახალი ტექნოლოგიებს ჩართვა მოხდეს კურსებში და ამ კუთხით ტრენინგების ჩატარებით იქნას მომზადებული. ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებაში არის ახალგაზრდა თაობა, რომელიც ხშირ შემთხვევაში თავად არიან ტრენერები ამ საკითხებში.

რაც შეეხება იმ ტრენინგებს, რომელიც დასკვნაში იყო ნახსენები, უნივერსიტეტში არის ასეთი დამოკიდებულება, რომ აქტივობები, რომელიც ყველასთვის არის საინტერესო და მისაღები, არის საუნივერსიტეტო, შესაბამისად ფსიქოლოგიის და განათლების ფაკულტეტს ევალება კიდეც ატაროს ასეთი ტრენინგები, და ატარებს კიდეც, რომელსაც ესწრება ჰუმანიტარული ფაკულტეტის პერსონალი, ამავე დროს ისინი ჩართულები არიან განათლების მიმართულების პროგრამების განხორციელებაში. შესაბამისად, ეს უწყვეტი პროცესია. ისევე, როგორც უწყეტი განათლების ცენტრის შემოთავაზებული ტრენინგები და მსგავსი ტიპის ღონისძიებებში მონაწილეობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ტრენინგები უნდა გაგრძელდეს უფრო ხშირად და მიზანმიმართულად.

რაც შეეხება ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამას, წინა აკრედიტაციის რჩევის გათვალისწინებით, დამატებულ იქნა ორი ინგლისურენოვანი კურსი. გარკვეულწილად გადაიხედა სილაბუსები. შესაბამისად, დაწესებულებას მიაჩნია, რომ სრულად იქნა შესრულებული გაცემული რჩევები და რეკომენდაციები. თუ არ ჩავთვლით იმ ნაწილს, რომ ჯერ კიდევ არ არის დანერგილი დისტანციური სწავლების ფორმები, აღნიშნულსაც განხორციელებენ, როგორც კი კანონმდებლობა მისცემთ ამის საშუალებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა ნინო ქიმერიძემ დაამატა ინფორმაცია პროგრამის დამტკიცების თაობაზე, აღნიშნა, რომ პირველად ხდება ფაკულტეტზე პროგრამის განხილვა,

მას მერე, რაც პროგრამული კომიტეტი ერთიანად განიხილავს და წარმოადგენს სრულ პაკეტს პროგრამაზე, შემდეგ ხდება აკადემიური საბჭოზე საკითხის გატანა. დადგენილება კოდიფიცირებულია და პროგრამის ცვლილების შეტანა ხდება კოდიფიცირებულ პროგრამაში, მისი ნახვა შესაძლებელია ასევე საიტზე. ამ მოცემულ პროგრამაზეც მსგავსი ქმედებები განხორციელდა და ელექტრონულად არის ასახული ყველა ინფორმაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ლომინაძემ, დამაზუსტებელი კითხვა დასვა დაწესებულების მიმართ, მიუთითა წარმოდგენილ დასკვნაზე და აღნიშნა, რომ წარმოდგენილ დასკვნაში ასახულია, რომ წარმოდგენილ დოკუმენტებში არის ინფორმაცია სხვა პროგრამების მოდიფიცირებული სახით დამტკიცების შესახებ, მაგრამ არ არის ინფორმაცია ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის მოდიფიკაციის შესახებ და ასევე ვებ გვერდზეც არის განთავსებული ახალი თარიღით. შესაბამისად, აინტერესებდა დაწესებულების პოზიცია ამ საკითხზე.
ამასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამები როდესაც კლასტერულად ჯგუფდებოდა სააკრედიტაციო განაცხადისთვის, ერთიანად, მოხდა დამტკიცება აკადემიურ საბჭოზე. რაც შეეხება ძველი თარიღის მითითებას, აღნიშნა, რომ ხელახალი, რეაკრედიტაციის შემდგომ გამოიცვალა ელექტრონული სისტემა, რომელიც უფრო მოდიფიცირებული გახდა, შესაბამისად გაუგებარია თუ რატომ უნდა მომხდარიყო ძველი თარიღის მითითება. გამოთქვა ვარაუდი, რომ შესაძლებელია ის პერიოდი იყო, როდესაც ხდებოდა ჩანაცვლება ძველი პროგრამის ახლით და სწორედ ამიტომ გატარდა პროგრამა ძველი თარიღით.
დაწესებულების წარმომადგენელმა დარეჯან თვალთვაძემ დამატებით განმარტა, რომ სადოქტორო პროგრამაზე რეალურად არცერთი არ იყო ისეთი რეკომენდაცია, რომელიც პროგრამის გადახედვას და ახლის დამტკიცებას ითვალისწინებდა, შესაბამისად პროგრამის ხელახლა დამტკიცება არც იყო აუცილებელი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:40
დასრულების დრო: 16:46
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ქართველური ენათმეცნიერების'' სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი;
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის დებულების 27[6] - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2[11] პუნქტის საფუძველზე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ქართველური ენათმეცნიერების'' სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილიანგარიში, საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ფილოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ

გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ფილოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში, საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 16:47 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს წევრი
დურული ციური

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლომინაძე თამარ